მსჯავრდებულთა უფლებები
და მათი დაცვის მექანიზმები

ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი 2014

ანგარიშის ავტორი: თამარ ავალიანი

რედაქტირება: ალეკო ცქიტიშვილი, ნინო ტლაშაძე

თარგმანი: ნინო ცაგარეიშვილი

ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა არ ასახავდეს NED-ის მოსაზრებებს.

სარჩევი

შესავალი 4

სასჯელაღსრულების სისტემაში გატარებული რეფორმები და პრობლემები 4

2013 წლის იანვრის თვის ფართომასშტაბიანი ამნისტია 5

საკანონმდებლო ცვლილებები მსჯავრდებულთა უფლებების მომწესრიგებელ სამართლებრივ აქტებში 6

მსჯავრდებულთა ჯანდაცვის უფლება 9

,,C“ ჰეპატიტის ინოვაციური პროგრამა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში....12

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტების მიერ გატარებული ღონისძიებანი მსჯავრდებულთა ჯანდაცვის უფლების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით 13

მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევები არადროული და არასათანადო მკურნალობის გამო 14

მსჯავრდებულთა გარდაცვალების სხვა შემთხვევები 15

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსჯავრდებულთა გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემები და არაადაპტირებული გარემო 16

მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და სასჯელის გადავადება 17

მსჯავრდებულ ზაზა აზარიაშვილის საქმე....19

საქართველოს სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები პატიმართა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უფლების და მისი რეალიზაციის თაობაზე....19

მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება 20

ცვლილებები მსჯავრდებულთა შეწყალებასთან დაკავშირებით....22

მსჯავრდებულთა უფლებების დაცვა #7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 23

მსჯავრდებულთა გადაყვანა ერთი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში 25

მსჯავრდებულთა ცემის ფაქტები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში....26

ციხეებში საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელების აუცილებლობა....28

მსჯავრდებულთა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების არაეფექტური გამოძიება 29

მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის განუსაზღვრელი ვადით გადადება - მსჯავრდებულთა პროტესტის ერთ-ერთი მიზეზი....30

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და მისი სტრუქტურების დამოკიდებულება მოშიმშილე პატიმრების მიმართ....31

რეკომენდაციები....32

დასკვნა 33

შესავალი

წარმოდგენილი ანგარიში ეფუძნება ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტების პრაქტიკას, კონკრეტულ საქმეებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა ცენტრს ჰქონდა წარმოებაში. მასში გაანალიზებულია სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირების პროცესი 2013 წლის განმავლობაში და 2014 წლის პირველ ნახევარში, აღწერილია რეფორმის ხარვეზები და დადებითი მხარეები.

ანგარიშში ყურადღება ეთმობა საკანონმდებლო ცვლილებებს მსჯავრდებულთა უფლებების მომწესრიგებელ სამართლებრივ აქტებში, პატიმართა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის საკითხებს და არსებით პრობლემებს, მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, სასჯელის გადავადებას, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებას, პატიმართა შეწყალებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს, მსჯავრდებულთა ცემის ფაქტებს, წამების მსხვერპლ პატიმართა საქმეების გამოძიების გაჭიანურებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ანგარიში მოიცავს რეკომენდაციებს საქართველოს პარლამენტისა და სასჯელაღსრულების სამინისტროს მიმართ. რეკომენდაციები ეხება პენიტენციური სისტემის ქმედითობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფას, მსჯავრდებულთა ინტერესების გათვალისწინებით. მასში გაანალიზებულია საქართველოს სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა დასკვნები მსჯავრდებულთა უფლებების გარანტირებასთან დაკავშირებით.

ანგარიშის დასკვნაში კი შეჯამებულია პრობლემები და მისი აღმოფხვრის გზები, შეთავაზებულია რეკომენდაციები.

სასჯელაღსრულების სისტემაში გატარებული რეფორმები და პრობლემები

2013 წლიდან სასჯელაღსრულების სისტემაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა. მსჯავრდებულთა წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა სისტემურ პრობლემას აღარ წარმოადგენს. 2013 წლის იანვარში განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა ამნისტიამ, შეწყალების, მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმების აქტიურმა გამოყენებამ, გარკვეულწილად მოხსნა გადატვირთულობის პრობლემა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

2013 წელს შემუშავდა C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამა, ცვლილებები შევიდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელისაგან გათავისუფლებისა და განაჩენის აღსრულების გადავადების მექანიზმებში, არსებითად

შეიცვალა პატიმრობის კოდექსის ის დებულებები, რომლებიც მსჯავრდებულთა უფლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავენ.

სასჯელაღსრულების რეფორმირების პროცესი განხორციელდა არასამთავრობო სექტორის ჩართულობითა და მონაწილეობით.

მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, სასჯელაღსრულების სისტემაში კვლავ რჩება პრობლემები, რაც უარყოფითად აისახება მსჯავრდებულთა მდგომარეობაზე.

2013 წელსა და 2014 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს აქტიურად მომართავდნენ მსჯავრდებულები, რომლებიც მიუთითებდნენ წლების განმავლობაში საპატიმროებში მათ მიმართ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიების გაჭიანურებაზე. ამავე პერიოდში პრობლემად რჩებოდა მსჯავრდებულთა ჯანდაცვა და ამ უფლებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა. პატიმრები ჩიოდნენ არასათანადო მკურნალობის, მათ შორის ოპერაციული და პოსტოპერაციული მკურნალობის თაობაზე.

2013 წლის ბოლოსა და 2014 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა მსჯავრდებულთა ცემისა და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი კომისიის შექმნის განუსაზღვრელი ვადით გადადებამ უკმაყოფილება გამოიწვია მსჯავრდებულთა შორის, რასაც მოჰყვა ფართომასშტაბიანი შიმშილობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

2013 წლის იანვრის თვის ფართომასშტაბიანი ამნისტია

2013 წლის იანვრის თვეში საქართველოში განხორციელდა ფართომასშტაბიანი ამნისტია. იგი შეეხო დაახლოებით 17 000 მსჯავრდებულს.

2013 წლის იანვრის ამნისტია გარკვეული სიახლეებით ხასიათდებოდა. მას ჰქონდა უპრეცედენტო მასშტაბი (დაახლოებით 17 000 მსჯავრდებული); ამნისტიით შემცირდა არა მარტო დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, არამედ სასამართლოს მიერ დანიშნული ძირითადი სასჯელი; ძირითადი სასჯელი გაუნახევრდა ქალებს, არასრულწლოვნებსა და დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირებს, რომელთაც სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი ჰქონდათ 2012 წლის 2 ოქტომბრამდე; გათავისუფლდნენ პირველად ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემული პირები, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა; გათავისუფლდნენ ნარკოტიკული დანაშაულებისათვის მსჯავრდებული პირები, თუ ისინი ადრე ნასამართლევი არ ყოფილან სხვა განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის; ყველა იმ პირს, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს 2012 წლის 2 ოქტომბრამდე და

კანონი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებდათ, ან ერთი მეორედით და/ან ერთი მესამედით არ უმცირებდათ სასჯელს, ამნისტიის შესახებ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით ამნისტირებულად ცხადდებოდნენ, ანუ დანიშნული სასჯელის ზომა შეუმცირდათ ერთი მეოთხედით. ამნისტიის შესახებ კანონი ფაქტიურად არ შეეხოთ იმ მსჯავრდებულებს, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ უვადო თავისუფლების აღკვეთა და პირებს, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს 2012 წლის 2 ოქტომბრის შემდეგ. აგრეთვე, აღნიშნული კანონის მოქმედება არ შეეხოთ ამნისტიის შესახებ ამავე კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ დანაშაულებს, რომელთა ძირითად ნაწილს წარმოადგენდა სამოხელეო და სქესობრივ დანაშაულთა გარკვეული ჯგუფი.[1]

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში 2012 წელს 31 დეკემბრის მდგომარეობით შესახლებული იყო 18487 მსჯავრდებული; 2013 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით - 7 638 მსჯავრდებული; 2014 წლის 30 აპრილის მდგომარეობით 8 212 მსჯავრდებული.

2014 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შესახლებული იყო 82 უვადო თავისუფლებაღკვეთილი მსჯავრდებული.[2]

საკანონმდებლო ცვლილებები მსჯავრდებულთა უფლებების მომწესრიგებელ სამართლებრივ აქტებში

2013 წლიდან აქტიურად დაიწყო მუშაობა საქართველოს პატიმრობის კოდექსის ცვლილებებთან დაკავშირებით. სამუშაო პროცესი წარიმართა, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობითა და მონაწილეობით.

2013 წლიდან ადამიანის უფლებათა ცენტრი აქტიურად მონაწილეობდა პატიმრობის კოდექსის ცვლილებათა პროექტების მუხლობრივ განხილვაში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში და საჯარო დისკუსიებში პატიმრობის კოდექსის ცვლილებებთან დაკავშირებით.

2013 წლის 8 ნოემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარუდგინა მოსაზრებები პატიმრობის კოდექსში შესატანი ცვლილებების თაობაზე.[3]

---

[1] იხ: საქართველოს კანონი ამნისტიის შესახებ (28.12.12)
https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1819020

[2] საჯარო ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან

პატიმრობის კოდექსის სრულყოფის პროცესი გაგრძელდა 2014 წლის პირველ ნახევარშიც. 2014 წლის მაისიდან ამოქმედდა პატიმრობის კოდექსის ცვლილებები, რომელმაც არსებითად გაზარდა მსჯავრდებულთა უფლებები. შეიცვალა პატიმრობის კოდექსის თითქმის ორი მესამედი.

პატიმრობის კოდექსის ცვლილებების თანახმად, შეიქმნება ორი ახალი ტიპის დაწესებულება. მსჯავრდებულები საშიშროების რისკის მიხედვით ოთხი სხვადასხვა ტიპის – დაბალი, ნახევრად ღია, დახურული და განსაკუთრებული ტიპის დაწესებულებაში გადანაწილდებიან. რისკების შეფასებასა და მათ მუდმივ გადაფასებას უზრუნველყოფს საამისოდ შექმნილი მულტიდისციპლინური გუნდი.

დაბალი რისკის დაწესებულებაში განთავსდებიან ყველაზე დაბალი საშიშროების მატარებელი მსჯავრდებულები, რომელთათვისაც სწავლა და შრომა სავალდებულო იქნება. ისინი ისარგებლებენ ხანგრძლივი, ხანმოკლე პაემნებისა და სატელეფონო საუბრების გაზრდილი ოდენობით. რაც შეეხება განსაკუთრებული რისკის დაწესებულებას, აქ განთავსდებიან ყველაზე საშიში და განსაკუთრებული რისკის მატარებელი მსჯავრდებულები, რომლებიც ვერ ისარგებლებენ ხანგრძლივი პაემნითა და ვიდეოპაემნით, ფულადი გზავნილის გაგზავნისა და შრომითი უზრუნველყოფის უფლებით, ასევე, სასჯელაღსრულების დაწესებულების დროებით დატოვების უფლებით, გარდა ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევისა. მათ ექნებათ მინიმალური რაოდენობის სატელეფონო საუბრები და ხანმოკლე პაემნები.

პატიმრობის კოდექსით, სახელწოდება ეცვლება და სარეაბილიტაციო დაწესებულებად გარდაიქმნება არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულება, სადაც მსჯავრდებულები არაერთი სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამით ისარგებლებენ, სასჯელის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის იზრდება სატელეფონო საუბრების, ხანმოკლე, ხანგრძლივი და ვიდეო პაემნის რაოდენობა, ასევე ფართოვდება წახალისების ფორმები, კერძოდ, მათ შეეძლებათ ამანათით ან ფოსტით მიიღონ ისეთი ნივთები, ნივთიერებები და ნაკეთობები, რომელთა ქონის უფლებაც, მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ჩვეულებრივ არ აქვს, თუმცა ისინი აკრძალული არ არის. წახალისების ფორმით მათ ასევე მიეცემათ კომპიუტერული თამაშებით სარგებლობის უფლება.

---

[3] ადამიანის უფლებათა ცენტრის მოსაზრებები შეეხებოდა მსჯავრდებულთა მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენების წესს, მათ მიმართ დისციპლინური ღონისძიებების სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურის შემუშავებას, შეთავაზებულ იქნა მსჯავრდებულთა მიმართ წამახალისებელი საშუალებების დანერგვა, როგორიც არის: დამატებითი ხანგრძლივი პაემნის უფლება, დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლება და სხვა რაიმე წამახალისებელი ღონისძიება, რათა მსჯავრდებულებს ჰქონოდათ მეტი მოტივაცია, თავი გამოეჩინათ კარგი ყოფაქცევით. ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევდა, რომ პატიმრობის კოდექსი უნდა გამხდარიყო უფრო ლიბერალური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი. ადამიანის უფლებათა ცენტრის შეთავაზებების დიდი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ.

პატიმრობის კოდექსის ცვლილებების მიხედვით, დაინერგა ახალი ტიპის სპეციალური საშუალებები, ასევე, დეტალურად გაიწერა მათი გამოყენების შემთხვევები და საფუძვლები. ამასთანავე, გაიწერა, რომ გამოყენებული სპეციალური საშუალება უნდა იყოს წარმოქმნილი საფრთხის პროპორციული.

2, 5 კვ.მ–დან 4 კვ.მ–მდე იზრდება ერთი მსჯავრდებულისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი ფართის საერთო სტანდარტი.

ღია დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულებისთვის ხანგრძლივი პაემნების და ხანმოკლე პაემნების რაოდენობის ზრდასთან ერთად ფართოვდება მნახველთა წრე.

დაზუსტდა ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების წესები. დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ან სხვა პირთა უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, განახორციელოს ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი. [4]

2014 წლის მაისის თვეში ადამიანის უფლებათა ცენტრმა, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და ევროპის საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო გუდაურში გამართულ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებების პროექტების[5] განხილვას. შეხვედრა წარიმართა არასამთავრობო სექტორის მონაწილეობითა და ჩართულობით.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა დადებითად შეაფასა პატიმრობის კოდექსის ის ცვლილებები, რომელიც შეეხებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა პირობების გაუმჯობესებას და გაზრდილი უფლებებით სარგებლობას. თუმცა, ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, თუ როგორ განვითარდება ამ მიმართულებით პრაქტიკა და რამდენად ექნებათ საშუალება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, მონიტორინგი გაუწიონ ახალი ცვლილებებით სარგებლობის პროცესს.

[4] იხ: საქართველოს პატიმრობის კოდექსის ცვლილებები https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=91612&lang=ge

[5] სამუშაო შეხვედრის დროს განხილულ იქნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ბრძანებათა შემდეგი პროექტები: ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანისას ბადრაგირების წესთან დაკავშირებით, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ, მსჯავრდებულთა მიმართ ვიზუალური და ელექტრონული კონტროლის განხორციელების შესახებ.

მსჯავრდებულთა ჯანდაცვის უფლება

2013 წლის განმავლობაში და 2014 წლის პირველ ნახევარში, ადამიანის უფლებათა ცენტრს სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან წერილობით მომართავდნენ მსჯავრდებულები და ძირითადად უჩიოდნენ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უფლების ხელყოფას, რაც გამოიხატებოდა დაავადებათა არასათანადო გამოკვლევაში, დიაგნოსტირებასა და მკურნალობაში, მათ შორის არადროულ ოპერაციულ მკურნალობაში.

2013 წლის განმავლობაში და 2014 წლის პირველ ნახევარში ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარებისათვის მომართა დაახლოებით 800-მა მსჯავრდებულმა საქართველოს სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან.[6] ადამიანის უფლებათა ცენტრში შემოსული ყოველი ათი განცხადებიდან შვიდი ეხებოდა მსჯავრდებულთა ჯანდაცვის უფლების ხელყოფას, არასათანადო მკურნალობას, მათ შორის ოპერაციულ და პოსტოპერაციულ მკურნალობას, მკურნალობისათვის დანიშნული მედიკამენტების მსჯავრდებულისათვის არასრულყოფილად მიწოდებას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვებით, მსჯავრდებულთა ჯანდაცვის უფლების ხელყოფა ვლინდებოდა, ძირითადად, შემდეგ შემთხვევებში:

<u>ოპერაციული მკურნალობის დაგვიანებით განხორციელება</u>

2013 წლის განმავლობში, მსჯავრდებულები თვეობით ელოდებოდნენ საოპერაციოდ გაყვანას და ადამიანის უფლებათა ცენტრს მომართავდნენ განცხადებებით, რათა ხმა მიეწვდინა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისათვის, გონივრულ ვადაში უზრუნველეყო მსჯავრდებულთა ოპერაციული მკურნალობა. [7]

---

[6] ძირითადად ადამიანის უფლებათა ცენტრს მომართავენ მსჯავრდებულები და მათი ახლობლები შემდეგი სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან: გლდანის #8 დაწესებულება, რუსთავის #6 და #17 დაწესებულებები, ქსნის #15 დაწესებულება, #7 სასჯალაღსრულების დაწესებულება, გეგუთის #14 დაწესებულება, ქუთაისის #2 დაწესებულება.

[7] ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში იყო ქსნის #15 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულის რ.ა საქმე, რომელიც ეხებოდა მისთვის შარდსაწვეთის სტენტირების გაკეთებას. მსჯავრდებულის მდგომარეობა იყო ძალიან მძიმე, მას სტანჯავდა გაუსაძლისი ტკივილები. მსჯავრდებულს აწუხებდა 15–მდე დაავადება, რომლებიც შეიძინა ციხეში ცემისა და წამების შედეგად. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის ძალისხმევის შედეგად, მსჯავრდებულს გაუკეთდა ოპერაცია. ასევე, ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავდა ქსნის #15 დაწესებულების მსჯავრდებულის გ.ა სამართლებრივ ინტერესებს. მსჯავრდებული უჩიოდა ჯანდაცვის უფლების ხელყოფას ციხის ადმინისტრაციის მხრიდან. იგი თვეების განმავლობაში, ამაოდ ელოდებოდა გადაუდებელ ქირურგიულ ოპერაციას მძიმე დაავადების გამო. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსათვის ადამიანის უფლებათა ცენტრის არაერთი წერილობითი მიმართვის შედეგად, მსჯავრდებულს ჩაუტარდა ოპერაცია. #7 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულს ს.ს სპეცრაზმის თანამშრომლებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და დაუზიანეს ახალნაოპერაციები ცხვირი. პატიმარს უჭირდა სუნთქვა და უჩიოდა გულის პრობლემებს. ადამიანის უფლებათა ცენტრის

2013 წლის 10 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ცენტრმა სასწრაფო რეაგირებისათვის მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილეს ბატონ არჩილ თალაკვაძეს და გადასცა 17 მსჯავრდებულის სია, რომელთაც ესაჭიროებოდათ სასწრაფო სამედიცინო გამოკვლევები და მკურნალობა. ადამიანის უფლებათა ცენტრისა და სამინისტროს თანამშრომლობის შედეგად, მსჯავრდებულებს გაეწიათ სამედიცინო დახმარება.

<u>პოსტოპერაციული მკურნალობა</u>

2013 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრს მიმართავდნენ პატიმრები, რომელთაც არ უტარდებოდათ პოსტოპერაციული მკურნალობა ექიმის დანიშნულების შესაბამისად. სასჯელაღსრულების დაწესებულების პასუხი პატიმართა ჩივილებზე იყო ის, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს არ ჰქონდა საშუალება, შეეძინა ყველა წამალი, რომლებიც მათ ოპერაციის შემდგომი მკურნალობისთვის ესაჭიროებოდათ. მსჯავრდებულებს ოპერაციის შემდეგ ტკივილების მოსახსნელად აძლევდნენ მხოლოდ ტკივილგამაყუჩებელ მედიკამენტებს. მსჯავრდებულთა ინფორმაციით, მათ არ ეძლეოდათ ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციისათვის დანიშნული მედიკამენტები.[8]

<u>დროული გამოკვლევებისა და დიაგნოსტირების პრობლემა</u>

2013 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარებისათვის მიმართავდნენ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრები, რომლებიც ორგანიზაციის იურისტებს თხოვდნენ დახმარებას, რათა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს და ციხის ადმინისტრაციას უზრუნველეყოთ მათთვის სათანადო გამოკვლევებისა და დიაგნოსტირების ჩატარება. [9] აღნიშნულ მსჯავრდებულთა დიდ უმრავლესობას

დახმარებით, მსჯავრდებული გაყვანილ იქნა ცხვირის საოპერაციოდ. რუსთავის #17 დაწესებულების მსჯავრდებული ვ.ბ ითხოვდა გლანდების ოპერაციის ჩატარებას, რადგან იგი უჩიოდა სუნთქვის უკმარისობას. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის დახმარებით, იგი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ გაყვანილ იქნა საოპერაციოდ. ამასთანავე, ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარების შედეგად, ოპერაციები ჩაუტარდათ ქსნის #15 დაწესებულების მსჯავრდებულს ლ.ქ, რუსთავის #6 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულს ვ.ნ, რუსთავის #17 დაწესებულების მსჯავრდებულს ვ.ბ, #7 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულს ი.ნ, ქსნის #15 დაწესებულების მსჯავრდებულს ა.ფ, გლდანის #8 დაწესებულების მსჯავრდებულს მ.მ.

[8] აღნიშნული პრობლემებით ადამიანის უფლებათა ცენტრს მომართეს ქსნის #15 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულებმა რ.ა, გ.ა, ლ.ქ, #7 დაწესებულების მსჯავრდებულებმა ს.ს, ი.ნ, რუსთავის #17 დაწესებულების მსჯავრდებულებმა ე.ხ, რ.ხ და სხვებმა.

[9] ადამიანის უფლებათა ცენტრს აღნიშნულ პრობლემებზე სამართლებრივი დახმარებისათვის მომართავდნენ პატიმრები, რომელთაც ჯანმრთელობა დაუზიანდათ სასჯელის მოხდის პერიოდში არასათანადო მოპყრობის შედეგად: ქსნის #15 დაწესებულების პატიმრები: რ.ა, გ.ა, ლ.ქ, მ.მ, ლ.ზ, ო.ბ, ლ.ლ, #6 დაწესებულების მსჯავრდებული გ.მ, გლდანის #8 დაწესებულების მსჯავრდებული დ.გ, გლდანის #8 დაწესებულების მსჯავრდებული გ.ო, #5 დაწესებულების მსჯავრდებულები თ.ტ, თ.ბ, #19 დაწესებულების მსჯავრდებული დ.გ, გლდანის #8 დაწესებულების მსჯავრდებულები გ.ს, კ.მ, რუსთავის #17 დაწესებულების მსჯავრდებული ც.ა, ქსნის #15 დაწესებულების მსჯავრდებულები ვ.ბ,

ჯანმრთელობის დაზიანებები მიღებული ჰქონდათ სასჯელის მოხდის პერიოდში ცემისა და წამებისაგან.

<u>მსჯავრდებულთა სათანადო მკურნალობის პრობლემა</u>

2013 წლის განმავლობაში მსჯავრდებულები მომართავდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრს და უჩიოდნენ არასათანადო, უხარისხო მკურნალობას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შესაბამისი უწყებების, სამედიცინო დეპარტამენტის და ციხის სამედიცინო პერსონალის მხრიდან. უმრავლეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ იყო მსჯავრდებულთა მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტები, ციხის სამედიცინო პუნქტებში მსჯავრდებულთათვის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები. ასევე, პრობლემას წარმოადგენდა სასჯელაღსრულების დაწესებულებების ექიმთა კვალიფიკაცია.[10]

<u>ფსიქოტროპული, დამამშვიდებელი მედიკამენტების არასათანადო გამოყენება და მსჯავრდებულთათვის არანორმირებული მიცემა სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის მიერ</u>

2013 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტების მიერ დაფიქსირდა ფაქტები, როდესაც განსაკუთრებით აღზნებულ, აგრესიული ქცევების მქონე მსჯავრდებულებს, იმისათვის, რათა მათ პრობლემები არ შეექმნათ ციხის პერსონალისათვის, დაწესებულების ექიმები აძლევდნენ დიდი რაოდენობის დამამშვიდებელ, ფსიქოტროპულ მედიკამენტებს. მედიკამენტთა რაოდენობას ექიმები ზრდიდნენ საკუთარი შეხედულებისამებრ, თვითნებურად. მედიკამენტების გაზრდას ექიმები ახორციელებდნენ მსჯავრდებულთა თხოვნითაც. აღნიშნულ ფაქტებს ადგილი ჰქონდა გლდანის #8, #7 და #6 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

<u>სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის სახელმწიფოს ხარჯზე ჩატარებაზე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაუსაბუთებელი უარი</u>

გ.ა, ო.ბ, რუსთავის #17 დაწესებულების მსჯავრდებული ვ.ჯ, #8 დაწესებულების მსჯავრდებული გ.პ, #19 დაწესებულების მსჯავრდებული ზ.ძ, ქსნის #15 დაწესებულების მსჯავრდებულები გ.ს, დ.ბ, მ.მ, გეგუთის #14 დაწესებულების მსჯავრდებული ა.მ, გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებული ბ.შ, რუსთავის #17 დაწესებულების მსჯავრდებული გ.ჯ, გლდანის #8 დაწესებულების მსჯავრდებული მ.მ, ქსნის #15 დაწესებულების მსჯავრდებულები შ.ყ, ჯ.შ, გლდანის #8 დაწესებულების მსჯავრდებულები ზ.გ, ა.ქ, მ.ტ, ზ.ა, ზ.ნ, რუსთავის#17 დაწესებულების მსჯავრდებულები ა.თ, თ.რ, ვ.ბ, ე.ხ, თ.ხ, #7 დაწესებულების მსჯავრდებულები ი.ნ, ს,ს, ლ.შ, გეგუთის #14 დაწესებულების მსჯავრდებული ი.დ, გლდანის #8 დაწესებულების მსჯავრდებული ო.ბ, რუსთავის #6 დაწესებულების პატიმარი ვ.ნ,

[10] ადამიანის უფლებათა ცენტრს აღნიშნულ პრობლემებზე სამართლებრივი დახმარებისათვის მომართავდნენ პატიმრები, რომელთაც ჯანმრთელობა დაუზიანდათ სასჯელის მოხდის პერიოდში არასათანადო მოპყრობის შედეგად: ქსნის #15 დაწესებულების პატიმრები: რ.ა, გ.ა, ლ.ქ, მ.მ, ლ.ზ, ო.ბ, ლ.ლ, #6 დაწესებულების მსჯავრდებული გ.მ, გლდანის #8 დაწესებულების მსჯავრდებული დ.გ, გლდანის #8 დაწესებულების მსჯავრდებული გ.ო, #5 დაწესებულების მსჯავრდებულები თ.ტ, თ.ბ, #19 დაწესებულების მსჯავრდებული დ.გ და სხვები.

2013 წლის განმავლობაში ტენდენციას წარმოადგენდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაუსაბუთებელი უარი პატიმართათვის სახელმწიფოს ხარჯზე სასამართლო–სამედიცინო ექპერტიზის ჩატარების თაობაზე. სამინისტრო არ ითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ მსჯავრდებულთა დიდი ნაწილი დაავადდა სასჯელის მოხდის დროს ცემისა და წამებისაგან, რაც სახელმწიფოს აკისრებდა დამატებით პოზიტიურ ვალდებულებას მსჯავრდებულისათვის ემკურნალა და სასამართლო–სამედიცინო ექსპერიზა ჩაეტარებინა სახელმწიფოს ხარჯზე. მსჯავრდებულთა უმრავლესობას არ გააჩნდა ფინანსური სახსრები, საკუთარი ხარჯით ჩაეტარებინა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა.[11]

„C“ ჰეპატიტის ინოვაციური პროგრამა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

სასჯელაღსრულების სისტემაში 2012 წელს - „C“ ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტირებისა და ანტივირუსული მკურნალობის პროგრამა არ არსებობდა. 2013 წელს - „C“ ჰეპატიტის მკურნალობის კურსი ჩაუტარდა 8 პაციენტს. 2014 წელს - „C“ ჰეპატიტის მკურნალობის (პეგფერონი+კოპეგუსი) პროგრამაში ჩართულ იქნა 41 პაციენტი.

სასჯელაღსრულების სისტემაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა „C“ ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტირებისა და ანტივირუსული მკურნალობის პროგრამა“ ამოქმედდა 2014 წელს. ანტივირუსული მკურნალობის კურსში პაციენტის ჩართვა ხდება საექიმო კონსილიუმის დასკვნით, სპეციალიზებული პროფილის სადიაგნოსტიკო გამოკვლევის შედეგების, პროგრამის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემთხვევაში.[12]

[11] ქსნის #15 დაწესებულების მსჯავრდებულებს რ.ა, გ.ა, მ.მ, რუსთავის #17 დაწესებულების მსჯავრდებულებს ე.ხ და რ.ზ, გლდანის #8 დაწესებულების მსჯავრდებულს გ.თ უარი ეთქვათ სახელმწიფოს ხარჯზე სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულებს არ ჰქონდათ მატერიალური საშუალება, საკუთარი ხარჯებით ჩაეტარებინათ ექსპერტიზა.

[12] საჯარო ინფორმაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსგან გამოთხოვილ იქნა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტების მიერ გატარებული ღონისძიებანი მსჯავრდებულთა ჯანდაცვის უფლების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით

2013 წლის განმავლობაში და 2014 წლის პირველ ნახევარში ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები მსჯავრდებულთა ჯანდაცვის უფლების ხელმისაწვდომობის ხელყოფის ფაქტებზე სამართლებრივ დახმარებას ახორციელებდნენ კომპლექსურად: ოფიციალური განცხადებებით მიმართავდნენ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრს, ამავე სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს, ციხის ადმინისტრაციას და სამედიცინო პერსონალს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს სახალხო დამცველს, რათა მათაც ემოქმედათ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და ადამიანის უფლებათა ცენტრთან კოორდინაციით და თანამშრომლობით, დაევალებინათ სასჯელაღსრულების სამინისტროს შესაბამისი უწყებებისათვის, აღმოეჩინათ მსჯავრდებულთათვის სათანადო და დროული მკურნალობა. რამდენიმე საქმეზე[13] ერთობლივად მიღწეულ იქნა შედეგი.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები ოფიციალურ მიმართვებს ავრცელებდნენ მსჯავრდებულთა ჯანდაცვის უფლების ხელყოფის ფაქტებზე მედიაში და ადამიანის უფლებების შესახებ პორტალზე – www.Humanrights.ge.[14]

2013 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერნეტ ტელევიზიის (www.hridc.tv) ჟურნალისტების მიერ გადაღებულ იქნა ფილმები პატიმართა ჯანდაცვის უფლების ხელყოფის ფაქტებზე.[15]

---

[13] ქსნის #15 დაწესებულების მსჯავრდებულების რ.ა, მ.მ და გ.ა საქმეები, რუსთავის #17 დაწესებულების მსჯავრდებულის თ.ხ საქმე, #7 დაწესებულების მსჯავრდებულების ს.ს და ი..ნ საქმეები. აღნიშნულ მსჯავრდებულებს ესაჭიროებოდათ სასწრაფო ოპერაციული მკურნალობა, რაც მიღწეულ იქნა ადამიანის უფლებათა ცენტრის სახალხო დამცველთან და საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან თანამშრომლობის შედეგად. აღნიშნული უწყებები მჭიდროდ თანამშრომლობდენ ადამიანის უფლებათა ცენტრთან მსჯავრდებულთა ჯანდაცვის თემატიკაზე.

[14] იხ: განცხადებები: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17042&lang=geo;
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17491&lang=geo;
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17126&lang=geo;
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17087&lang=geo;
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17042&lang=geo;
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17023&lang=geo;
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=16085&lang=geo

[15] იხ ფილმები: http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=893&lang=geo;
http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=840&lang=geo;
http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=842&lang=geo;
http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=829&lang=geo;
http://www.hridc.tv/index.php?a=files&catid=30&lang=geo;

მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევები არადროული და არასათანადო მკურნალობის გამო

2014 წლის 23 მარტს გარდაიცვალა ქუთაისის #14 სასჯელაღსრულების დაწესებულების 26 წლის მსჯავრდებული ავთანდილ მაისურაძე. პატიმარი გარდაიცვალა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემდეგ. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად, მსჯავრდებულს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა. არაერთი მიმართვისა და თხოვნის მიუხედავად, მას არ ეწეოდა აუცილებელი მკურნალობა. მსჯავრდებული არაერთი განცხადებით ითხოვდა დროულ მკურნალობას, მაგრამ გაუსაძლისი ტკივილების გამო, მხოლოდ ტკივილგამაყუჩებლებს აძლევდნენ. მსჯავრდებულს პერიოდულად ეთიშებოდა ქვედა ორივე კიდური, ჰქონდა გაუსაძლისი ტკივილები. როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრს, ასევე მსჯავრდებულს თვეების განმავლობაში სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი ატყობინებდა, რომ უახლოეს მომავალში დაგეგმილი იყო მსჯავრდებულის დიაგნოსტიკური კვლევა და ნეიროქირურგის კონსულტაცია მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით. მაგნიტურ–რეზონანსული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ავთანდილ მაისურაძეს დაზიანებული ჰქონდა თოთხმეტი მალა, პრობლემები ჰქონდა გულმკერდისა და წელის მალებზე; შეექმნა მხედველობის პრობლემები და თავის გაუსაძლისი ტკივილები; მიუხედავად ჯანმრთელობის ასეთი მდგომარეობისა, 3 თვის განმავლობაში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ პატიმარი არ გაიყვანა ნეიროქირურგის კონსულტაციაზე, რის შემდეგაც დაიგეგმებოდა შემდგომი მკურნალობა. ფაქტობრივად თვეების განმავლობაში, არ გატარებულა ქმედითი ზომები მსჯავრდებულის სამკურნალოდ. მხოლოდ დიაგნოზის დასმით კი შეუძლებელი იყო პატიმრის გამოჯანმრთელება.[16]

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი იცავდა მსჯავრდებულის სამართლებრივ ინტერესებს ჯანდაცვის კუთხით.

პატიმრის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ მსგავსი შემთხვევების გამოსარიცხად, პენიტენციალური სისტემის სამედიცინო სამსახური ეფექტურად უნდა წარმართავდეს მუშაობას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, რაც ეს ერთ–ერთი აუცილებელი საფუძველია მსჯავრდებულთა ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად. მსჯავრდებულთა მიმართ სამედიცინო მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს იმ საერთაშორისო სტანდარტებს, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო აქტებით. ევროპული სასამართლოს პრაქტიკითაც დადგენილია, რომ სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას თავისუფლებააღკვეთილი პირების ჯანმრთელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში,

[16] იხ: ინფორმაცია http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17729&lang=geo

არასათანადო სამედიცინო მომსახურების არსებობა შეიძლება გაუთანაბრდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–3 მუხლით აკრძალულ მოპყრობას. [17]

2014 წლის 2 იანვარს, სასჯელაღსრულების #19 ტუბერკულოზის სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრში მსჯავრდებული დათა გოგოხია გარდაიცვალა. მსჯავრდებულ დათა გოგოხიას, რომელიც მუცლის არეში ძლიერ ტკივილებს უჩიოდა, არ გაეწია ადეკვატური სამედიცინო დახმარება და სამედიცინო პერსონალის მხრიდან დაშვებული შეცდომის გამო არ მოხდა მისი დროული გადაყვანა შესაბამისი პროფილის საავადმყოფოში, რასაც შედეგად მსჯავრდებულის გარდაცვალება მოჰყვა. [18]

მსჯავრდებულთა გარდაცვალების სხვა შემთხვევები

2013 წლის 23 მაისს გეგუთის #14 სასჯელაღსრულების დაწესებულების 24 წლის მსჯავრდებული ლევან კორტავა ციხეში გარდაიცვალა. გეგუთის #14 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გარდაცვლილ ლევან კორტავას საქმეზე მთავარმა პროკურატურამ გეგუთის ციხის თანამშრომლები და წარსულში ნასამართლევი პირი დააკავა. გამოძიებისას გაირკვა, რომ ლევან კორტავას ფსიქოტროპული წამლების გაცემის საკითხზე შელაპარაკება მოუვიდა უსაფრთხოების ინსპეტორ ი.შ-თან. ინციდენტის შემდეგ, ი.შ-ის დავალებით ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა მეტსახელად ,,ბულდოგამ“ ლევან კორტავა გაიყვანა დაწესებულების მეექვსე კორპუსის მესამე სართულზე მდებარე საკანში და სხვა მსჯავრდებულებთან ერთად მას სასტიკად გაუსწორდა. მსჯავრდებულ ლევან კორტავას ცემა მას შემდეგ შეწყვიტეს, რაც მას ცხვირიდან სისხლი წასკდა. თუმცა, საკანში დაბრუნებულ კორტავას სხვა მსჯავრდებულებმა მიაკითხეს და ის ძალის გამოყენებით გაიყვანეს სხვა საკანში. გამოძიების ინფორმაციით, ლევან კორტავას 10 წუთის განმავლობაში სასტიკად სცემდნენ და მასზე ფიზიკური ძალადობა მაშინაც არ შეწყვეტილა, როცა ლევან კორტავამ გონება დაკარგა. მსჯავრდებული მიღებული დაზიანებებით გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

მთავარმა პროკურატურამ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გეგუთის ციხის რამდენიმე თანამშრომელი და ყოფილი პატიმარი დააკავა.[19]

ქუთაისის #2 საპყრობილეში სენაკელი არასრულწლოვანი გოგი ძველაია გარდაიცვალა. 16 წლის ახალგაზრდა საპატიმროში ერთი დღის მიყვანილი იყო. [20]

---

[17] იხ: განცხადება http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17729&lang=geo

[18] იხ: ინფორმაცია http://netgazeti.ge/GE/105/law/26873/

[19] იხ: ფილმი : http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=850&lang=geo

2014 წლის 4 მარტს ქუთაისის #14 დაწესებულებაში გარდაიცვალა მსჯავრდებული გიგა ფარტენაძე. მსჯავრდებულსა და სხვა პატიმრებს შორის ფიზიკური დაპირისპირების შედეგად, პატიმარი გიგა ფარტენაძე მძიმე ტრავმებით გარდაიცვალა. [21]

მიუხედავად, სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული სერიოზული პრობლემებისა, მავნე ტენდენციას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სასჯელაღსრულების სისტემის მაღალჩინოსნები იღებენ არაგონივრულად მაღალ პრემიებს, წახალისების ობიექტური კრიტერიუმების დაუცველად[22].

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსჯავრდებულთა გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემები და არაადაპტირებული გარემო

წლების განმავლობაში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ილახება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსჯავრდებულთა უფლებები, ვინაიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ არსებობს მათ შესაძლებლობებთან ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შენობებს არ აქვთ პანდუსები, რათა მსჯავრდებულებმა შეძლონ ეტლით თავისუფლად გადაადგილება.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში (მაგალითად #19 და #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებები), მსჯავრდებულები, რომლებიც ეტლით გადაადგილდებიან, ადვოკატთან შესახვედრად ძირითადად, მოჰყავთ ციხის სამეურნეო ნაწილის პატიმრებს. [23]

საპატიმროებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრებს უჭირთ დამოუკიდებლად ჩაცმა, ბანაობა, ჭამა და საპირფარეშოში გასვლა. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ ჰყავთ გამოყოფილი შესაბამისი პირი,

---

[20] იხ: ინფორმაცია: http://www.tabula.ge/ge/story/75503-subari-shesadzloa-gardacvlil-patimars-vinmestan-utanxmoeba-hqonda

[21] იხ: ინფორმაცია http://cp.ge/ge/statiacci.php?ID=13049; http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17686&lang=geo

[22] იხ: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მაღალჩინოსანთა პრემიების შესახებ ინფორმაცია: http://www.netgazeti.ge/GE/105/News/31475/

[23] ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები თავად უწევენ სამართლებრივ დახმარებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსჯავრდებულებს, მაგალითად: #19 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულები ც.ა, დ.გ რომლებიც გადაადგილდებოდნენ ეტლით, ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატთან შესახვედრად მოჰყავდათ დაწესებულების სამეურნეო ნაწილის პატიმრებს. მსჯავრდებულები უჩივიან დაუბრკოლებლად გადაადგილების პრობლემას, რადგან სასჯელაღსრულების დაწესებულების ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული მათ საჭიროებებთან. შესაბამისად, ადვოკატებსაც უწევთ საათობით ლოდინი, სანამ მსჯავრდებულებს შემოიყვანენ ადვოკატებთან შეხვედრების ოთახში.

რომელიც სისტემატურად დაეხმარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსჯავრდებულებს ყოველდღიური, აუცილებელი პროცედურების განხორციელებაში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები #19 და #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხშირად ყოფილან შემსწრენი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსჯავრდებულთა გადაადგილებასთან დაკავშირებული სირთულეების.

მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და სასჯელის გადავადება

წლების განმავლობაში, საპატიმროებში სასჯელს იხდიდნენ პატიმრები, რომელთაც ჰქონდათ მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა და მათი ჯანმრთელობისათვის სახიფათო იყო სასჯელის მოხდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია სერიოზული ხარვეზებით ფუნქციონირებდა და ვერ ასრულებდა დაკისრებულ ვალდებულებებს.

მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა 2012 წლის ბოლოდან. 2012 წლის 18 დეკემბერს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის #181/N01-72/ნ ერთობლივი ბრძანებით, დამტკიცდა ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის დებულება. ასევე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 თებერვლის #01–6/ნ ბრძანებით განისაზღვრა იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველს.

მიუხედავად იმისა, რომ დეტალურად გაიწერა მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალი, ერთობლივი კომისიის პრაქტიკა ხშირ შემთხვევებში, მაინც არასწორად ვითარდებოდა.

2013 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა სასჯელაღსრულების სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს ერთობლივ კომისიას რუსთავის #6 დაწესებულების მსჯავრდებულის თამაზ რასოიანის სასჯელისაგან გათავისუფლების მოთხოვნით მიმართა. კომისიისგან მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე დაუსაბუთებელი უარი მოვიდა. მუდმივმოქმედი კომისიიდან ადამიანის უფლებათა ცენტრს დაუსაბუთებელი უარი მოუვიდა ასევე, შემდეგი პატიმრების საქმეებზე: #19 დაწესებულების მსჯავრდებულის დავით გორდაძის საქმეზე, გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულის ოთარ ბერიძის საქმეზე, #19 დაწესებულების მსჯავრდებულის ბადრი სვანიშვილის საქმეზე, ხონის ფსიქიატრიული დაწესებულების პატიმრის გიორგი შარაშიძის საქმეზე.

2014 წლის აპრილის თვეში ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა ერთობლივ კომისიას მიმართა #5 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულის თამარ ტალიკაძის საქმეზე და მოითხოვა მსჯავრდებულისათვის სასჯელის გადავადება ან გათავისუფლება. პასუხი ჯერ-ჯერობით კომისიიდან ადამიანის უფლებათა ცენტრს არ მიუღია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეების მიხედვით იკვეთება, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული მსჯავრდებულის დაავადებები ჯდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 თებერვლის #01–6/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალში, უახლესი სამედიცინო ცნობებით დგინდება, რომ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და შეუთავსებელია მისთვის სასჯელის მოხდის გაგრძელება, კომისია მაინც უარს ამბობს დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე. კომისიის მუშაობის პრაქტიკიდან გამომდინარე, იგი სასჯელის მოხდისაგან ათავისუფლებს ძირითადად ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ მსჯავრდებულებს, რომელთაც დიდი ხნის სიცოცხლე არ დასჩენიათ. მსჯავრდებულთა მიმართ ნაკლებია კომისიის მხრიდან ინდივიდუალური მიდგომა. კომისიის მუშაობის არასწორი პრაქტიკის შედეგად, ილახება მსჯავრდებულთა უფლებები.[24]

იმ შემთხვევაში, თუ მუდმივმოქმედი კომისია ფორმალურ მიდგომებს გააგრძელებს მსჯავრდებულთა მიმართ, მაშინ აზრს დაკარგავს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისა და გადავადების შესაძლებლობა, რამაც შესაძლოა ხელყოს მსჯავრდებულთა სიცოცხლის ფუნდამენტური უფლება.

ამასთანავე, ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებები მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ ხშირად არის დაუსაბუთებელი და ნათლად არ არის განმარტებული, თუ რატომ ეთქვა უარი მსჯავრდებულს. გადაწყვეტილების ბუნდოვანება უარყოფით ემოციებს იწვევს მსჯავრდებულებში. პატიმრები ხშირად მომართავენ ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებს, რათა მათ კომისიისგან განემარტოთ სასჯელისაგან გათავისუფლებაზე უარის თქმის მიზეზი.

რაც შეეხება სტატისტიკას, 2013 წლის განმავლობაში სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა 60 მსჯავრდებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. [25] 2014 წლის 20 მაისის მდგომარეობით, საპატიმრო სასჯელისაგან ავადმყოფობის გამო გათავისუფლდა 9 მსჯავრდებული.

---

[24] ქსნის #15 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულს (რ.ა), რომელსაც აწუხებდა 15–მდე დაავადება და ჰქონდა ცალი თირკმელი. მისი დაავადებები ჯდებოდა მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალში, ერთობლივმა მუდმივმოქმედმა კომისიამ უარი უთხრა მსჯავრდებულს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებაზე.

[25] იხ: საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2013 წელი)

არანებაყოფლობით ფსიქიატრიული მკურნალობის ჩასატარებლად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანილ იქნა 52 ბრალდებული/მსჯავრდებული.

2013 წელს განაჩენის აღსრულება გადაუვადდა 10 პატიმარს[26]. 2014 წლის 20 მაისის მდგომარეობით, სასჯელის მოხდა გადაუვადდა (ავადმყოფობის/ორსულობის) – 1 ბრალდებულს/მსჯავრდებულს.

2013 წლის 14 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, განაჩენის გადავადება შესაძლებელი გახდა ალტერნატიული სასამართლო–სამედიცინო დასკვნის საფუძველზე. [27]

მსჯავრდებულ ზაზა აზარიაშვილის საქმე

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის სამართლებრივი დახმარებით, 2013 წლის 26 ივლისს, მსაჯავრდებულ ზაზა აზარიაშვილს გადაუვადდა სასჯელის მოხდა და გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან[28].

მსჯავრდებული ზაზა აზარიაშვილი არის უსასტიკესი მეთოდებით წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. იგი გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აწამეს. პატიმარი მძიმედ დაავადდა სასჯელის მოხდის პერიოდში ცემისა და წამებისაგან. მის მიმართ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე ქ. თბილისის პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება. ზაზა აზარიაშვილის სამართლებრივ ინტერესებს იცავს ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატი.

საქართველოს სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები პატიმართა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უფლების და მისი რეალიზაციის თაობაზე

<u>საქართველოს სახალხო დამცველმა</u> რეკომენდაციები[29] მისცა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რათა დაავადების მიმდინარეობის

---

[26] იხ: საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2013 წელი)

[27] საქართველის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283–ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, განაჩენის აღსრულება შეიძლება გადაავადოს განაჩენის გამომტანმა სასამართლომ სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, თუ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუსაბამოა თავისუფლების აღკვეთასთან – მის გამოჯანმრთელებამდე, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე.

[28] იხ: ინფორმაცია http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=16795&lang=geo; http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=16803&lang=geo

გათვალისწინებით, კონკრეტული პატიმრის საჭიროების შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნას სამედიცინო მომსახურების დროულად მიწოდება სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებებსა და სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში, დაინერგოს მაქსიმალურად ინდივიდუალური მიდგომა. ამასთანავე, სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში ამბულატორული მომსახურების მიზნით გადაყვანილი პატიმრის არასრული გამოკვლევის ან დროის მოკლე მონაკვეთში (შემდგომ დღეებში) დამატებითი გამოკვლევების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში ამ პატიმრის გადაყვანა განხორციელდეს რიგგარეშედ.

ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში თომას ჰამარბერგის ანგარიშის[30] თანახმად ,,აუცილებელია, საჩივრებისა და გამოძიების ადეკვატური და ქმედუნარიანი სტრუქტურების შექმნა“ პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულთა და სხვა პირთა უფლებების დაცვის კუთხით.

2013 წლის ანგარიშში ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (CPT) რეკომენდაციას აძლევს შესაბამის უწყებებს, გააუმჯობესონ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა მსჯავრდებულთათვის და შექმნან საჩივრებისა და გამოძიების ეფექტური და მიუკერძოებელი მექანიზმი პატიმართა და ციხის თანამშრომელთა უფლებების დაცვის კუთხით.[31]

მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება

2013 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებთა ცენტრში გახშირდა მსჯავრდებულთა მომართვიანობა, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებით ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების გასაჩივრების მოთხოვნით.

მსჯავრდებულები ასაჩივრებდნენ მათი სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების უარყოფით გადაწყვეტილებებს მათ გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

---

[29] იხ: საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2013 წელი), გვ. 74

[30] იხ: საქართველო გარდამავალ პერიოდში, ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები, თომას ჰამარბერგი, 2013 წლის სექტემბერი

[31] იხ: Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 19 to 23 November 2012; Strasbourg, 31, July 2013

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები ეხმარებიან მსჯავრდებულებს სარჩელის დაწერასა და სასამართლოსათვის მიმართვაში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის პრაქტიკიდან ირკვევა, რომ ადგილობრივი საბჭოები მუშაობდნენ ხარვეზებით, რითაც ირღვეოდა პატიმართა უფლებები.

2013 წლის განმავლობაში, ადგილობრივ საბჭოს ერთი და იგივე ტიპის საქმეების მიმართ ჰქონდა არაერთგვაროვანი მიდგომა, რაც გარკვეული თვითნებობის საფუძველს წარმოადგენდა. ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებები ხშირად იყო ბუნდოვანი და დაუსაბუთებელი. ხარვეზები ფიქსირდებოდა, როგორც ადგილობრივი საბჭოს მუშაობაში, ისე საერთო სასამართლეობის მიერ ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებათა განხილვის პროცესში. ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებები ატარებდნენ ფორმალურ ხასიათს და საბჭო თითქმის ყოველთვის არასრულად ასაბუთებდა იმას, თუ რა გახდა კონკრეტული მსჯავრდებულის მიმართ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. საბჭოს მუშაობის ხარვეზები სისტემურ ხასიათს ატარებდა.

2013 წლის 9 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრმა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარუდგინა რეკომენდაციები სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებასა და მის შემსუბუქებასთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა პოზიტიურად მიიჩნია ,,საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ამავე უწყების მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის #151 ბრძანებაში შესატანი ცვლილებები, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა ცენტრმა შესთავაზა ადგილობრივი საბჭოს ტიპურ დებულებაში შემდეგი ცვლილებების შეტანა:

- არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების კანდიდატურები საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისათვის დასამტკიცებლად უნდა წარედგინა არა სასჯელაღსრულების სამინისტროს საკოორდინაციო საბჭოს, არამედ თავად არასამთავრობო სექტორს. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობდა არასამთავრობო სექტორის ჩართულობას ადგილობრივი საბჭოს ფორმირების პროცესში და მათი დამოუკიდებლობის გაზრდას.

- რეკომენდაციის თანახმად, ადგილობრივი საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილ უნდა ყოფილიყო სახალხო დამცველის ერთი წარმომადგენელი;

- საბჭოს შემადგენლობა უნდა დანიშნულიყო 3 წლის ვადით. წევრთა უფლებამოსილების გაზრდა ხელს შეუწყობდა მათი საქმიანობის სტაბილურობას და შეამცირებდა დაინტერესებულ პირთა ზეგავლენას მათ მუშაობაზე;

- რეკომენდაციის თანახმად, ადგილობრივი საბჭოს წევრთათვის სავალდებულო პირობად უნდა განსაზღვრულიყო სპეციალური კურსის გავლა პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, მათი ცოდნის მუდმივი განახლებით უფლებამოსილების პერიოდში. აღნიშნულის საჭიროება მომდინარეობდა თავად საბჭოს მიზნიდან, რომელიც ეხებოდა მსჯავრდებულის ეფექტური რესოციალიზაციის ხელშეწყობას.[32]

ადამიანის უფლებათა ცენტრის რეკომენდაციათა ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ადგილობრივი საბჭოს მუშაობის გამჭვირვალობას, გათვალისწინებულ იქნა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ.

ცვლილებები მსჯავრდებულთა შეწყალებასთან დაკავშირებით

2014 წლის 27 მარტს, საქართველოს პრეზიდენტის #120 ბრძანებულებით დამტკიცდა შეწყალების ახალი წესი, რომელმაც არსებითად გააუმჯობესა მსჯავრდებულთა, განსაკუთრებით, უვადო მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა და რეალური გახადა მათთვის შეწყალების მექანიზმის გამოყენება.[33]

2014 წლის 27 მარტამდე მოქმედი შეწყალების დებულების თანახმად, უვადო მსჯავრდებულებს 25 წელი უნდა გაეტარებინათ საპატიმროში და შემდეგ ჰქონდათ უფლება მიემართათ შეწყალების კომისიისათვის. 2014 წლის 27 მარტიდან მოქმედი შეწყალების წესის თანახმად, 15 წლის გასვლის შემდეგ უვადო მსჯავრდებულებს შეუძლიათ შეწყალების თხოვნით მიმართონ შეწყალების კომისიას.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს ის, რომ 2014 წლის 27 მარტამდე მოქმედი წესის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელსაც ჰქონდა საპატიმრო და პირობითი მსჯავრი დადებული, მათი საქმე იკრიბებოდა და ითვლებოდა, რომ მსჯავრდებულს სასჯელის ნახევარი უნდა მოეხადა და ამის შემდეგ შეეძლო მიემართა შეწყალების კომისიისათვის. შეწყალების ახალი წესის თანახმად, როდესაც ერთად არსებობს ორი სასჯელი, კომისია იმსჯელებს მხოლოდ საპატიმრო სასჯელიდან გამომდინარე.

---

[32] იხ: რეკომენდაციების სრული ვერსია: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17413&lang=geo

[33] იხ: საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის #120 ბრძანებულება: https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2299717&lang=

ge

2014 წლის 27 მარტამდე მოქმედი შეწყალების წესის თანახმად, დანაშაულის აღიარება იყო აუცილებელი წინაპირობა. თუ მსჯავრდებული დანაშაულს არ აღიარებდა, მის საქმეს შეწყალების კომისია არ განიხილავდა. ახალი წესის თანახმად, აღიარებას აღარ ექცევა ყურადღება, თუმცა, მსჯავრდებულმა უნდა ითხოვოს შეწყალება.

სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ მსჯავრდებულმა, რომელმაც დანაშაული არასრულწლოვნების დროს ჩაიდინა და ახლა უკვე არის სრულწლოვანი და იმყოფება სასჯელაღსულების დაწესებულებაში, კომისია განიხილავს მის საქმეს, როგორც არასრულწლოვნისას.

2014 წლის 27 მარტის ცვლილებებამდე, ადამიანის უფლებათა ცენტრმა საკუთარი მოსაზრებები გამოაქვეყნა მსჯავრდებულთა შეწყალების სამართლიანად განხორციელებასთან დაკავშირებით. ორგანიზაცია თვლიდა, რომ ნათლად უნდა გაწერილიყო ის გარემოებები, რომელთა საფუძველზეც მოხდებოდა მსჯავრდებულთა შეწყალება. გარემოებები უნდა ყოფილიყო კანონმდებლობით ნათლად განსაზღვრული, რათა თავიდან აცილებულიყო მისი თვითნებურად გამოყენება.

ამასთანავე, ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევდა და მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტს არ უნდა ჰქონდეს შეწყალების უფლება ერთპიროვნულად, შეწყალების კომისიის რეკომენდაციის გარეშე.[34]

2013 წლიდან ადამიანის უფლებათა ცენტრმა დაახლოებით 15 მსჯავრდებულის საქმეზე მიმართა საქართველოს პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით. ნაწილი საქმეების დაკმაყოფილდა, ნაწილზე პასუხი კი ადამიანის უფლებათა ცენტრს ჯერ–ჯერობით არ მიუღია.

მსჯავრდებულთა უფლებების დაცვა #7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში

როგორც საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშით საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2013 წელი) დგინდება, სასჯელაღსრულების #7 დაწესებულების პატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სასეირნო ეზოს მდებარეობითა და მოწყობით. სასეირნო ეზოები არის მცირე ზომის და მდებარეობს ისეთ ადგილას, სადაც ჰაერი ფაქტობრივად არ მოძრაობს.

#7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელს იხდიან ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრები და იმყოფებიან დაწესებულების პირველ სართულზე არსებულ საკნებში, სადაც კედლები, იატაკი და ჭერი არის ნესტიანი. ასეთ

[34] იხ: სრულად რეკომენდაციები http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17310&lang=geo

პირობებში ცხოვრება ხელს უწყობს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას და ზრდის მომავალში ტუბერკულოზით განმეორებითი დაავადების რისკს.[35]

სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშის თანახმად, #7 დაწესებულებაში არ არის სამრეცხაო, პატიმრებს არ აქვთ საკმარისი თბილი ტანსაცმელი, საკნებში არ აქვთ ტუმბოები და თაროები, რის გამოც პირადი ნივთები და საკვები იატაკზე და საწოლზე უწყვიათ, ირღვევა ჰიგიენური ნორმები.

დაწესებულებაში არ არის სამრეცხაო, რის გამოც პატიმრები ტანსაცმელს და თეთრეულს რეცხავენ საკნებში და იქვე აშრობენ. პატიმრების განმარტებით, მათ ასევე არ აქვთ თბილი ტანსაცმელი.[36] მსჯავრდებულთა კვების რაციონის შედგენისას, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა მიერ იგნორირებულია ექიმის მიერ დანიშნულ დიეტაზე მყოფ მსჯავრდებულთა საჭიროებები[37].

#7 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდეებულებს უფლება არ აქვთ საკანში იქონიონ საპარსი და ფრჩხილების მოსაჭრელი საშუალებები. დაწესებულებაში არ არსებობს ხანგრძლივი პაემნისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატები აღნიშნავენ, ადვოკატებთან შეხვედრების ოთახები არის მცირე ზომის და რაოდენობის, რაც ხელს უშლის პატიმართა მიერ ადვოკატით სარგებლობის დაუბრკოლებლად ხელმისაწვდომობას. #7 დაწესებულების მსჯავრდებულთა განმარტებით, მათ არ აქვთ პირადი კორესპონდენციის საკანში შენახვის უფლება.

ადამიანის უფლებათა ცენტრისათვის #7 დაწესებულების ერთ-ერთი უვადო პატიმრის განმარტებით, უმნიშვნელო გადაცდომის შემთხვევაში, მსჯავრდებულებს თვეობით ეკრძალებათ ტელეფონით და ამანათით სარგებლობა.

სახალხო დამცველმა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს მისცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე.

ამასთანავე, მიეცა რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს უზრუნველყოს სასჯელაღსრულების #5, #7, #8, #12 დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

---

[35] იხ: საქართველო გარდამავალ პერიოდში, ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები, თომას ჰამარბერგი, 2013 წლის სექტემბერი

[36] ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებს ინფორმაცია მიაწოდა #7 დაწესებულების მაჯავრდებულებმა: ს.ს, ი.ნ, გ.ო და სხვებმა

[37] ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებთან აღნიშნულ პრობლემაზე საუბრობდნენ ქსნის #15 დაწესებულების მსჯავრდებულები;

სახალხო დამცველის რეკომენდაციის თანახმად, სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი უნდა იქნას პატიმრებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სატელეფონო საუბრებით სრულყოფილად სარგებლობის უფლება.

მსჯავრდებულთა გადაყვანა ერთი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში

2013 წლის განმავლობაში და 2014 წლის პირველ ნახევარში, ადამიანის უფლებათა ცენტრს მომართავდნენ მსჯავრდებულები, რომელთაც სხვადასხვა გარემოებების გამო, სურდათ ერთი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადაყვანა. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები მსჯავრდებულთა გადაყვანის მოთხოვნით წერილობით მიმართავდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, ასევე კონკრეტული სასჯელაღსრულების დაწესებულების მთავარ ექიმს. ძირითადად, გადაყვანის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა და კონკრეტულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჯანმრთელობისათვის შეუსაბამო პირობები.

2013 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა მოითხოვა თბილისის #7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის ი.ნ გადაყვანა #7 დაწესებულებიდან #18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. 2013 წლის 10 ივნისს მსჯავრდებულს ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრში გაუკეთდა ოპერაცია, მაგრამ 2013 წლის 26 ივნისს გაწერის შემდეგ ვერ გაიარა რეაბილიტაციის კურსი, რადგან #7 დაწესებულებაში არ იყო შესაბამისი პირობები, რის გამოც მსჯავრდებულს გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ქ. თბილისის #7 სასჯელაღსრულების დაწესებულება წარმოადგენს პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას, სადაც არ არის მსჯავრდებულის ჯანმრთელობისთვის საჭირო პირობები. მსჯავრდებულ ი.ნ ესაჭიროებოდა სუფთა ჰაერზე ხანგრძლივად ყოფნა და სხვა პროცედურები შესაბამის მკურნალობასთან ერთად. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

2013 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა მიმართა საქართველოს სასჯელაღსულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და მოითხოვა მსჯავრდებულ ტ.ო გადაყვანა

გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ქსნის #15 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ მსჯავრდებულს ჰყავდა ახლო ნათესავები და ოჯახის წევრები კასპის რაიონში, სოფელ აღაიანში, რის გამოც პატიმრის ოჯახისთვის უფრო მოსახერხებელი იყო ტ.ო მონახულება #15 დაწესებულებაში და საჭიროების შემთხვევაში მისთვის საჭირო ნივთების გადაცემა. ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

2014 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა მოითხოვა ქსნის #15 სასჯელაღსულების დაწესებულების მსჯავრდებულის ლ.ლ გადაყვანა #15 დაწესებულებიდან #19 სასჯელაღრულების დაწესებულებაში. გადაყვანის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა პატიმრის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა, მას ჰქონდა ტუბერკულოზი, ,,C“ ჰეპატიტი, იყო ფსიქიკურად გაუწონასწორებელი და მიდრეკილება ჰქონდა სუიციდისადმი. მსჯავრდებულს ქსნის #15 სასჯელარსრულების დაწესებულებაში არ უტარდებოდა ადეკვატური სამედიცინო მკურნალობა, რითაც უარესდებოდა პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

#15 დაწესებულებაში მოთავსებამდე მსჯავრდებული იმყოფებოდა #19 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 8 (რვა) თვიანი შესაბამისი სამკურნალო პროგრამით, თუმცა მსჯავრდებულისათვის გაურკვეველი მიზეზების გამო, იგი ხუთ თვეში გადაიყვანეს #15 დაწესებულებაში, სადაც არ უტარდებოდა შესაბამისი მკურნალობა. ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატის მოთხოვნა დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის გადაყვანასთან დაკავშირებით.

მსჯავრდებულთა ცემის ფაქტები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

<u>მსჯავრდებულ გიორგი ოგანეზოვის საქმე</u>

2014 წლის აპრილის თვეში ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარების თხოვნით მომართა #7 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულმა გიორგი ოგანეზოვმა.

2014 წლის 28 მარტს პატიმარი გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გადმოიყვანეს #7 დაწესებულებაში. გადმოყვანამდე, 2014 წლის 28 მარტს, გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულების ნულოვან სართულზე იგი სცემეს რეჟიმის უფროსმა და სპეცრაზმის თანამშრომლებმა.

მსჯავრდებულის ინფორმაციით, მისი ცემის მიზეზს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ გიორგი ოგანეზოვი პროტესტს გამოთქვამდა #8 დაწესებულებაში იმ თანამშრომლების მუშაობასთან დაკავშირებით, ვინც წლების განმავლობაში დაკავებული იყო პატიმართა ცემითა და წამებით. მსჯავრდებულს აღენიშნებოდა სხეულის დაზიანებები.

2014 წლის 22 აპრილს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა მსჯავრდებულ გიორგი ოგანეზოვის ცემის ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენინსპექციას და მთავარ პროკურატურას.

გამოძიება დაიწყო მსჯავრდებულ გიორგი ოგანეზოვის მიმართ ჩადენილი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე.[38]

<u>მსჯავრდებულ ამირან ფატოევის საქმე</u>

2013 წლის 19 დეკემბერს #17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 19 მსჯავრდებულმა შიმშილობა დაიწყო, მათ მიმართ წარმოებული საქმეების გადახედვის მოთხოვნით. მოშიმშილე პატიმრები განათავსეს ე.წ. ,,ბურში“. 21 დეკემბერს სამი მოშიმშილე პატიმარი გამოიძახეს ეტაპირებაზე. მათ შორის ერთ-ერთმა, ამირან ფატოევმა გამოხატა პროტესტი და ითხოვა განმარტება, რა აუცილებლობას წარმოადგენდა მოშიმშილე პატიმრების ეტაპირება. მსჯავრდებულის განმარტებით, ამ დროს მსჯავრდებულებთან მოულოდნელად გამოვიდა დაახლოებით 30 თანამშრომელი, მათ შორის - #17 სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი ალექსანდრე ბირთველიშვილი, რომელმაც პატიმრებს განუცხადა, რომ იგი მათ მოთხოვნებზე პასუხის გაცემას არ აპირებდა. ამ დროს, სასჯელაღსრულების დაწესებულების ერთ-ერთმა თანამშრომელმა ამირან ფატოევს საყელოში მოკიდა ხელი და შეურაცხმყოფელი სიტყვებით ნიკაპში დაარტყა, დაუჭირა ხელები და დაუწყო ჯანჯღარი. შემდეგ კი კედელზე არტყმევინა თავი.

ამ ინციდენტის შემდეგ, დაახლოებით 15 წუთში, პატიმარი გამოიძახეს ეტაპირებაზე და გადაიყვანეს #6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2014 წლის 15 იანვარს და 2 მაისს განცხადებები გაავრცელა ფატოევის ცემის ფაქტთან დაკავშირებით და შეშფოთება გამოხატა სასჯელაღულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთა ცემის გამო. ამირან ფატოევი წინა წლებში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლია და ხერხემლის დაზიანების გამო, მხოლოდ ყავარჯნით გადაადგილდება. [39]

<u>მსჯავრდებულ გენადი ჯელაძის საქმე</u>

2004-2005 წლებში, როდესაც მსჯავრდებული გენადი ჯელაძე სასჯელს იხდიდა ქუთაისში, მის მიმართ განხორციელებულ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში მონაწილეობას იღებდა სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელი შოთა

[38]იხ: ინფორმაცია http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17733&lang=geo

[39] იხ: ინფორმაცია http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17500&lang=geo

ტორაძე. მაშინ, როდესაც შოთა ტორაძე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა, გენადი ჯელაძემ საჩივრით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, რათა შოთა ტორაძის მიმართ დაწყებულიყო გამოძიება. მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულმა მოამზადა საჩივრები, მასთან შევიდა შოთა ტორაძე და მოსთხოვა პატიმარს ჩივილის შეწყვეტა.

2014 წლის 27 აპრილს, პატიმარ გენადი ჯელაძის ეტაპირება მოხდა #6 დახურულ დაწესებულებაში. ამ დროს მსჯავრდებულ გენადი ჯელაძის მიმართ განხორციელდა ღირსების შემლახველი ქმედებები. მსჯავრდებულის განმარტებით, 27 აპრილს იგი გააშიშვლეს და #17 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაშიშვლებული გადაიყვანეს #6 დახურულ დაწესებულებაში. დამამცირებელი მოპყრობის გამო პატიმარმა მშრალი შიმშილობა გამოაცხადა.

2014 წლის 2 მაისს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებმა პრესკონფერენცია გამართეს მსჯავრდებულების - გიორგი ოგანეზოვის, ამირან ფატოევის და გენადი ჯელაძის ცემისა და არაადამიანური მოპყრობის თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოითხოვა გამოძიების დასრულებამდე უფლებამოსილება შეჩერებოდათ იმ პირებს, რომელთა მიმართაც არსებობს ეჭვი, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს პატიმართა არაადამიანურ მოპყრობაში და ამავე დროს, კვლავ შეუძლიათ, ზეწოლა მოახდინონ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ დაზარალებულებზე. ორგანიზაციის მოთხოვნა დღემდე არ დაკმაყოფილებულა[40].

ციხეებში საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელების აუცილებლობა

მსჯავრდებულთა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები წლების განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან სათანადო რეაგირების გარეშე რჩებოდა. წლების განმავლობაში, მსჯავრდებულთა წამების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ციხეებში საზოგადოებრივი მონიტორინგის არარსებობა იყო.

საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, ეფექტური საზოგადოებრივი მონიტორინგის გარეშე, მსჯავრდებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენცია ვერ განხორციელდება. სასჯელაღსრულების დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, სისტემის ჩაკეტილობის პირობებში, მაღალია მსჯავრდებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკი.

დღემდე, სახელმწიფოს მიერ არ შექმნილა პენიტენციური სისტემის ეფექტური საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი, რაც საშუალებას მისცემდა არასამთავრობო

[40] იხ: ინფორმაცია: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17733&lang=geo; http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=917&lang=geo

ორგანიზაციებს განეხორციელებინათ საზოგადოებრივი კონტროლი საპატიმრო დაწესებულებებზე.

მსჯავრდებულთა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების არაეფექტური გამოძიება

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სასჯელს იხდიან პატიმრები, რომელთა დიდი უმრავლესობა წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის მსხვერპლია. ამ კუთხით, სამწუხარო ტენდენცია არსებობს სახელმწიფოში: მსჯავრდებულთა წამების ფაქტების გამოძიება ან არ იწყება ან დაწყებული გამოძიება არაგონივრული ვადით ჭიანურდება. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის კუთხით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მდგომარეობა გაუმჯობესებულია, დღემდე პრობლემად რჩება წამების მსხვერპლი პატიმრების მკურნალობა იმ დაავადებების კუთხით, რომელთა დიდი ნაწილიც სასჯელის მოხდის დროს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად მიიღეს. სახელმწიფოს არ შეუქმნია მექანიზმი მათი დარღვეული უფლებების აღდგენისა, არ არსებობს ორგანო, რომელიც მსჯავრდებულებს წამების მსხვერპლის სტატუსს მიანიჭებს, დღემდე არ მომხდარა მათი რეაბილიტაცია, პატიმრებისთვის სათანადოდ არ არის ხელმისაწვდომი იურიდიული დახმარება.

2014 წლის იანვარ-თებერვალში, ადამიანის უფლებათა ცენტრი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობდა ფონდ ,,ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ დაფინანსებულ პროექტში, რომელიც მიზნად ისახავდა მსჯავრდებულთა გამოკითხვას.

გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებმა გამოკითხეს 60 პატიმარი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა იყო წლების განმავლობაში ნაწამები უსასტიკესი მეთოდებით, რამდენიმე მათგანს უჭირდა დამოუკიდებლად გადაადგილება მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

წამების მსხვერპლ მსჯავრდებულებს იურისტების მიმართ ჰქონდათ ორი შეკითხვა: როდის გადაიხედებოდა მათი კანონიერ ძალაში შესული განაჩენები და როდის დასრულდებოდა მათ მიმართ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიება. გამოკითხვისას, მსჯავრდებულები ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებს უყვებოდნენ საპატიმროებში მათი წამების ფაქტების შესახებ და ითხოვდნენ სახელმწიფოსაგან სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაჩქარებას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებისთვის მსჯავრდებულებს თან მოჰქონდათ მათი სისხლის სამართლის საქმეები, ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია და სთხოვდნენ მათ იურიდიულ დახმარებას.

წამების მსხვერპლ პატიმართა დიდ ნაწილს დაზარალებულის სტატუსიც არ აქვს პროკურატურის მიერ მინიჭებული. პროკურატურის ორგანოებში დაუსრულებლად იკითხებიან დაზარალებული მსჯავრდებულები მოწმის სტატუსით მათ მიმართ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეებზე, თუმცა გამოძიება მსჯავრდებულთა წამების ფაქტებზე არაგონივრული ვადით ჭიანურდება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტთა დაკვირვებით, მსჯავრდებულებს სჭირდებათ როგორც სამართლებრივი, ისე ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და სათანადო სამედიცინო მკურნალობა.

ჯერ კიდევ 2013 წლის თებერვალში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მიმართვა გაავრცელა მსჯავრდებულთა წამების ფაქტებზე დროული რეაგირების თაობაზე. [41] მიმართვაში ნათქვამია, რომ ,,წამებისა და არაადამიანური მოპყრობის არაეფექტური გამოძიება წლების განმავლობაში წარმოადგენდა დაუსჯელობის წამახალისებელ ფაქტორს. თუმცა, ვინაიდან ეფექტური გამოძიება ამოსავალი წერტილია წამებასა და არაადამიანურ მოპყრობასთან ბრძოლაში, იგი უნდა წარმოადგენდეს ხელისუფლების უპირველეს ამოცანას.“

სამწუხაროდ, 2013 წლიდან დღემდე სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო ყურადღება ექცევა წამების ფაქტების დროულ გამოძიებას და სამართლიანობის აღდგენას წამების მსხვერპლი პატიმრების მიმართ.

მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის განუსაზღვრელი ვადით გადადება - მსჯავრდებულთა პროტესტის ერთ-ერთი მიზეზი

მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნას ყველაზე იმედიანად მსჯავრდებულების შეხვდნენ, რადგან ბევრი მათგანი თავს უდანაშაულოდ და წინა ხელისუფლების მსხვერპლად მიიჩნევდა. ამიტომ, კომისიის შექმნის გადავადებაც ყველაზე მეტად მათ გააპროტესტეს, რასაც მსჯავრდებულთა მასობრივი შიმშილობა მოჰყვა.

როგორც 2013 წლის 2 დეკემბერს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა განაცხადა, ციხეებში 52 მსჯავრდებული შიმშილობდა.[42] იმავე მოთხოვნით, 2013 წლის 19 დეკემბრისთვის მოშიმშილე მსჯავრდებულთა რაოდენობა

[41] იხ: მიმართვის სრული ვერსია http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=16487&lang=geo

[42] იხ: განცხადება http://www.tabula.ge/ge/story/77681-subari-cixeebshi-52-patimari-shimshilobs

1032–მდე გაიზარდა.[43] მსჯავრდებულთა პროტესტისა და შიმშილობის ეს ტალღა 2014 წლის იანვარსა და თებერვალშიც გაგრძელდა.

ჯერ კიდევ 2013 წლის მაისის თვეში ევროკავშირის სპეციალურმა მრჩეველმა საქართველოს მთავრობისთვის სამართლებრივ კონსტიტუციურ საკითხებსა და ადამიანის უფლებებში თომას ჰამერბერგმა მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ,,ადამიანებს, თუ მათ მიმართ დაირღვა სამართლიანობა, უნდა მიეცეთ საშუალება გადაიხედოს მათი საქმეები, რათა აღდგეს სამართლიანობა“. [44]

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და მისი სტრუქტურების დამოკიდებულება მოშიმშილე პატიმრების მიმართ

2013 წლის განმავლობაში და 2014 წლის პირველ ნახევარში, ხშირი იყო მსჯავრდებულთა შიმშილობის შემთხვევები. ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარების თხოვნით მომართავდნენ #19, #17, #6, #5, #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებათა მსჯავრდებულები, რომლებიც გამოხატავდნენ პროტესტს არასათანადო მკურნალობასთან, მათი წამების ფაქტების გამოძიებასთან და განაჩენების გადახედვის მექანიზმების შექმნის გაჭიანურებასთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტთა განმარტებით, მოშიმშილე მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობით არ ინტერესდებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია და შესაბამისი უფლებამოსილი პირები.

#6 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებული თამაზ რასოიანი, რომელსაც იურიდიულ დახმარებას უწევს ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატი, შიმშილობდა 34 დღის განმავლობაში.

ადვოკატის განმარტებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით დროულად არ დაინტერესებულა არც სასჯელაღრსრულების სამინისტრო და არც დაწესებულების ადმინისტრაცია, სანამ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად არ გართულდა. შიმშილობიდან 34–ე დღეს მსჯავრდებული გადაიყვანეს კატასტროფის ბრიგადით საავადმყოფოში.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან არასათანადო ყურადღებას უჩიოდა #5 დაწესებულების მსჯავრდებული თამარ ტალიკაძე, რომელიც გამოკვლევების მოთხოვნით შიმშილობდა 25 დღის განმავლებაში.

[43] იხ: ინფორმაცია http://ghn.ge/news-100600.html

[44] იხ: განცხადება http://for.ge/view_news.php?news_id=18863&news_cat=0

გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულ გიორგი სანიკიძის, #6 დაწესებულების მსჯავრდებულის ვეფხია ნარიმანიძის და #19 დაწესებულების მსჯავრდებულ გიგა არზიანისა და მათი ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული პიროვნებები შიმშილობდნენ დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში, თუმცა მათთვის დაწესებულების ადმინისტრაციას ყურადღება არ მიუქცევია, არც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესებულა.

სასჯელაღსრულების დაწესებულებათა გულგრილი დამოკიდებულება მოშიმშილე მსჯავრდებულთა მიმართ საკმაოდ გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს.

რეკომენდაციები

ადამიანის უფლებათა ცენტრი მის წარმოებაში არსებული საქმეებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნევს რეკომენდაციებით მიმართოს შემდეგ უწყებებს:

საქართველოს პარლამენტს:

- საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა მიიღოს დადგენილება, რათა დაევალოს საქართველოს მთავარ პროკურატურას, გაატაროს შესაბამისი ზომები, მსჯავრდებულთა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიების გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად;

- საქართველოს პარლამენტის მიერ შეიქმნას სპეციალური ორგანო, რომელიც კონკრეტული საქმეების შესწავლის შედეგად, დაზარალებულ მსჯავრდებულებს მიანიჭებს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა სტატუსს; სპეციალური ორგანო დაკომპლექტდეს არასამთავრობო სექტორის, სახალხო დამცველის, პროფესიონალი იურისტების, ფსიქოლოგებისა და ექიმებისაგან; სპეციალურმა ორგანომ განახორციელოს საზოგადოების აქტიური და რეგულარული ინფორმირება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით;

- საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა შეიმუშავოს სტრატეგია წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციასთან დაკავშირებით;

- საქართველოს პარლამენტმა დროულად შექმნას კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადახედვის ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმი;

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს:

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ შექმნას ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მსჯავრდებულთა გეგმიურ ოპერაციებზე გაყვანის ეფექტური მექანიზმი;

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები და უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა ადეკვატური ოპერაციისშემდგომი მკურნალობა და რეაბილიტაცია;

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში საკვები რაციონის განსაზღვრა, იმ მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის ინტერესების გათვალისწინებითაც, რომელთაც უწევთ ექიმის მიერ დანიშნულ დიეტაზე ყოფნა.

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტომ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სამედიცინო პერსონალის მიერ მსჯავრდებულებზე ფსიქოტროპული და დამამშვიდებელი საშუალებების არანორმირებული დოზებით გაცემის აკრძალვასთან დაკავშირებით;

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსჯავრდებულთა თავისუფალი გადაადგილება მათ შესაძლებლობებთან დაწესებულებაში ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნის გზით;

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ შექმნას ეფექტური შიდაუწყებრივი მექანიზმი ციხის თანამშრომელთა მიერ მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებული გადაცდომის ფაქტების გამოძიებასთან დაკავშირებით;

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს:

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს ერთობლივმა მუდმივმოქმედმა კომისიამ განავითაროს სამართლიანი და ობიექტური პრაქტიკა მძიმე ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების თაობაზე

დასკვნა

როგორც ანგარიშიდან ირკვევა, მიუხედავად სასჯელაღსრულების სისტემაში 2013 წლიდან გატარებული რეფორმებისა, კვლავ პრობლემად რჩება მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია–რეაბილიტაცია და სათანადო მკურნალობა, მათ შორის წამების

მსხვერპლი პატიმრების მკურნალობა და მათი დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმის შემუშავება.

სახელმწიფოს მოუწევს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა სასჯელაღსრულების სისტემის კიდევ უფრო გაჯანსაღებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, რაც საშუალებას მისცემს საზოგადოებას ობიექტურად შეაფასოს პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რეფორმები და პრობლემები.

სასჯელაღსრულების სისტემაზე არასამთავრობო სექტორის ეფეტური მონიტორინგის მექანიზმის ჩამოყალიბება დიდწილად დაეხმარება სახელმწიფოს პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი აღმოფხვრის გზების შემუშავებაში.